

საიდენტიფიკაციო მონაცემები

V1.	კითხვარის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი [ივსება ინტერვიუერის მიერ]	_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
V2.	ინტერვიუერის კოდი [ივსება ინტერვიუერის მიერ]	_ _ _ _ _ _ _ _ _

შინამეურნეობასთან კონტაქტი:

მოგესალმებით,

მე მქვია /ინტერვიუერის სახელი და გვარი/ წარმოვადგენ „CRRC-საქართველოს,“ არაკომერციულ დამოუკიდებელ კვლევით ცენტრს. ჩვენ ვატარებთ გამოკითხვას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. თქვენი ოჯახი შემთხვევითი წესით ამოვარჩიეთ, ისევე, როგორც 1000 სხვა ოჯახი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. კვლევის შედეგების სანდოობის და მიუკერძოებლობისთვის მნიშვნელოვანია, თქვენი ოჯახის არჩეული წევრი გამოვიკითხოთ.

ინტერვიუ დაახლოებით 20 წუთს გაგრძელდება. გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თუმცა ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ გაცემული პასუხები თქვენს ვინაობას არ დაუკავშირდება და სრულიად კონფიდენციალური იქნება.

იმის გასარკვევად, თუ ოჯახის რომელ სრულწლოვან წევრს გამოვიკითხავ, თქვენი დახმარება დამჭირდება. რადგან ჩვენი რესპონდენტი შემთხვევით უნდა ამოვარჩიოთ, გარკვეულ ინსტრუქციებს უნდა მივყვეთ. კვლევის ხარისხის და სანდოობისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მოდით, ვისაუბროთ თქვენი ოჯახის შესახებ. „ოჯახში“ ჩვენ ვგულისხმობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, მიუხედავად მათი ოფიციალური საცხოვრებელი ადგილისა, და აქვთ საზიარო შემოსავალი და ხარჯები.

მომდევნო კითხვაზე პასუხის გაცემისას, გაითვალისწინეთ თქვენი ოჯახის მხოლოდ ის წევრები, რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად ცხოვრობენ.

H1. გთხოვთ, მითხრათ, მოცემული განმარტების მიხედვით, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამჟამად თქვენს ოჯახში, თქვენი ჩათვლით?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ რიცხვი]

___ ___ ადამიანი		
(არ ვიცი)	-1	გააფორმეთ არგამოპასუხება
(უარი პასუხზე)	-2	

H2. გთხოვთ, მითხრათ, მოცემული განმარტების მიხედვით, რამდენი ზრდასრული (18 წლის ან უფროსი) ადამიანი ცხოვრობს ამჟამად თქვენს ოჯახში, თქვენი ჩათვლით?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! ჩაწერეთ რიცხვი]

___ ___ ადამიანი		
(არ ვიცი)	-1	გააფორმეთ არგამოპასუხება
(უარი პასუხზე)	-2	

გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის ყველა სრულწლოვანი მამაკაცი წევრის ასაკი ყველაზე უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე. დიდი მადლობა!

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! შეავსეთ შესაბამისი ფორმა პლანშეტში. თუ ოჯახში მამაკაცები არ ცხოვრობენ, ჰკითხეთ სრულწლოვანი ქალების შესახებ]

ახლა გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის ყველა სრულწლოვანი ქალი წევრის ასაკი ყველაზე უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე. დიდი მადლობა!

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! შეავსეთ შესაბამისი ფორმა პლანშეტში. თუ ოჯახი 6-ზე მეტი სრულწლოვანი წევრისგან შედგება, მოუსმინეთ რესპონდენტს, მაგრამ პლანშეტში ინფორმაცია მხოლოდ ოჯახის ექვსი წევრის შესახებ ჩაინიშნეთ, მათი დასახელების თანმიმდევრობით]

დიდი მადლობა! ჩვენი რესპონდენტი არის /სახელი/, /ასაკი/ წლის. შემიძლია მას გავესაუბრო?

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** თუ შერჩეული რესპონდენტი არ არის სახლში, დააზუსტეთ, როდის შეუძლია გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება. თუ შერჩეული რესპონდენტი არ დაბრუნდება უახლოეს დღეებში, ან რესპონდენტმა უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე, მადლობა გადაუხადეთ ოჯახის წევრს და დაემშვიდობეთ. ჩაინიშნეთ კონტაქტის შედეგი პლანშეტში]

I1. რა ენაზე ისურვებდით ამ ინტერვიუს ჩატარებას?

ქართულად	1	
სომხურად	2	
აზერბაიჯანულად	3	
სხვა ენაზე (ჩაინიშნეთ) _____	4	გააფორმეთ არგამოპასუხება
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

ინტერვიუს დაწყების თარიღი და დრო

დიდი მადლობა! მოდი, დავიწყოთ რამდენიმე შეკითხვით თქვენს და თქვენი ოჯახის შესახებ.

თავი 1. რესპონდენტის დემოგრაფიული თავისებურებები

D1. [აჩვენეთ ბარათი D1] მოდით, ვისაუბროთ თქვენი საქმიანობის შესახებ. ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, შეარჩიეთ ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია.

ვარ პენსიონერი და <u>არ</u> ვმუშაობ	1
ვარ სტუდენტი და <u>არ</u> ვმუშაობ	2
ვარ დიასახლისი და <u>არ</u> ვმუშაობ	3
ვარ უმუშევარი	4
ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	5
ვარ თვითდასაქმებული (მაშინაც კი, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	6
ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემოიძლია	7
სხვა	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

D2. თუკი თქვენს განათლებაზე ვისაუბრებთ, ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს? [წაუკითხეთ]

სრული ან არასრული ზოგადი განათლება (8-9 კლასი),	1
სრული ზოგადი განათლება [იგულისხმება 11-12 კლასის განათლება]	2

საშუალო სპეციალური განათლება [დასრულებული აქვს სპეციალიზებული საშუალო განათლება: ტექნიკური და ა.შ., მიღებული აქვს კვალიფიციური მუშაკის ხარისხი]	3
არასრული უმაღლესი განათლება	4
სრული უმაღლესი განათლება	5
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

D3. [აჩვენეთ ბარათი D3] ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან, რა უფრო კარგად აღწერს თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას?

თავი ძლივს გაგვაქვს. ფული საკვებზეც არ გვყოფნის	1
საკვებისთვის საკმარისი ფული გვაქვს, თუმცა ტანსაცმლის შეძენა გვიჭირს.	2
საკვების, საჭირო ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შესაძენი ფული გვაქვს, თუმცა კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის ან მტვერსასრუტის ყიდვა არ შეგვიძლია.	3
საკვების, საჭირო ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შესაძენი ფული გვაქვს, თუმცა, ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთების (მაგალითად, მაცივრის ან სარეცხი მანქანის) ყიდვის საშუალება არ გვაქვს	4
შეგვიძლია, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, მაგრამ ისეთ შენაძენზე, როგორცაა ბინა ან აგარაკი, ხელი არ მიგვიწვდება	5
შეგვიძლია, საკმაოდ ძვირი შენაძენი გვექონდეს, როგორცაა ბინა, ან აგარაკი	6

(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

D4. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე საყოფაცხოვრებო ნივთს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც თქვენი ოჯახის საკუთრებაშია და რომლებიც ამჟამად მუშა მდგომარეობაშია. გთხოვთ, მითხრათ, გაქვთ თუ არა ოჯახში ...

		ფლობს	არ ფლობს	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1	მაცივარი	1	0	-1	-2
2	ფერადი ტელევიზორი	1	0	-1	-2
3	სმარტფონი (ტელეფონი ფერადი ეკრანით და ინტერნეტის წვდომით)?	1	0	-1	-2
4	ტაბლეტი (მაგ. აიპადი, გალაქსი ტაბი, ლენოვო და ა.შ.)	1	0	-1	-2
5	მანქანა	1	0	-1	-2
6	კონდიციონერი	1	0	-1	-2
7	ავტომატური სარეცხი მანქანა	1	0	-1	-2

8	პერსონალური კომპიუტერი, ლეპტოპის ჩათვლით	1	0	-1	-2
9	ცხელი წყალი	1	0	-1	-2
10	ცენტრალური გათბობა	1	0	-1	-2

D5. მოგიხდათ თუ არა თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს საცხოვრებელი ადგილის შეცვლა 1989 წლიდან დღემდე საქართველოში მომხდარი კონფლიქტების გამო?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

D6. [აჩვენეთ ბარათი D6] ოჯახის შემოსავალი არის ოჯახის ყველა წევრის ფულადი შემოსავლების ჯამი. გასულ თვეში თქვენი ოჯახის ყველა წევრის საერთო ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ამ ბარათზე მოყვანილ რომელ ჯგუფში ექცევა ეს შემოსავალი?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! საუბარია რესპონდენტების და მისი ოჯახის წევრების მიერ ხელზე აღებული თანხაზე.]

150-მდე	1
151-300	2
301-450	3
451-600	4
601-750	5
751-900	6
901-1050	7
1051-1200	8
1201-1350	9
1351-1500	10

1501-1650	11
1651-1800	12
1800-ზე მეტი	13
(0)	14
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

გმადლობთ. მოდიოთ, ახლა ვისაუბროთ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თქვენს შეხედულებებზე.

თავი 2. რისკი და პოლიტიკური ქცევა

R1. წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და გაქვთ კარგი სამსახური თვეში 2100 ლარი ხელფასით. თქვენ შეგიძლიათ ამ სამსახურში იმუშაოთ რამდენ ხანსაც მოგიხდებათ, მაგრამ გამოჩნდა ახალი სამსახურის შემოთავაზება, სადაც ახლანდელი ხელფასის გაორმაგების შანსი 50/50-ზეა (ანუ გაგიხდებათ 4200 ლარი), თუმცა ასევე 50/50-ზეა შანსი, რომ თქვენი ხელფასი მესამედით შემცირდეს (ანუ გაგიხდებათ 1400 ლარი). დათანხმდებოდით თუ არა ასეთ ახალ სამსახურს?

დიახ	1	
არა	0	გადასვლა R1_2-ზე
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	გადასვლა R2-ზე

R1_1. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი ახლანდელი ხელფასის გაორმაგების შანსი ისევ 50/50-ზეა (ანუ გაგიხდებათ 4200 ლარი), მაგრამ ასევე 50/50-ზეა ხელფასის განახევრების შანსი (ანუ გაგიხდებათ 1050 ლარი). დათანხმდებოდით თუ არა ასეთ ახალ სამსახურს?

დიახ	1	გადასვლა R2-ზე
არა	0	
<i>(არ ვიცი)</i>	-1	
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2	

R1_2. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი ახლანდელი ხელფასის გაორმაგების შანსი ისევ 50/50-ზეა (ანუ გაგიხდებათ 4200 ლარი), მაგრამ ასევე 50/50-ზეა ხელფასის 20%-ით შემცირების შანსი (ანუ გაგიხდებათ 1680 ლარი). დათანხმდებოდით თუ არა ასეთ ახალ სამსახურს?

დიახ	1
არა	0
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

R2. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: “თუ ვინმეს რაიმე სიკეთეს გავუკეთებ, მისგან მოველი საპასუხო სიკეთეს, მაშინაც კი, თუ ამაზე წინასწარ არ შევთანხმებულვართ.”

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები]

სრულიად ეთანხმებით	4
უფრო ეთანხმებით	3
უფრო არ ეთანხმებით	2
თუ საერთოდ არ ეთანხმებით?	1
<i>(არ ვიცი)</i>	-1

<i>(უარი პასუხზე)</i>	-2
-----------------------	----

R3. ზოგი ფიქრობს, რომ ვისაც არ უნდა მივცეთ ხმა, მაინც არაფერი შეიცვლება. ზოგს კი მიაჩნია, რომ ის, თუ ვის მივცემთ ხმას დიდ გავლენას ახდენს რამე შეიცვლება თუ არა. თქვენ რომელ მოსაზრებას ეთანხმებით უფრო მეტად?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: “თქვენ სრულად ეთანხმებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?” მხოლოდ ერთი პასუხი.]

<u>მოსაზრება 1:</u> ზოგი ფიქრობს, რომ ვისაც არ უნდა მივცეთ ხმა, მაინც არაფერი შეიცვლება.		<u>მოსაზრება 2:</u> ზოგს კი მიაჩნია, რომ ის, თუ ვის მივცემთ ხმას დიდ გავლენას ახდენს რამე შეიცვლება თუ არა.	
<i>სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას</i>	<i>ვეთანხმები პირველ მოსაზრებას</i>	<i>ვეთანხმები მეორე მოსაზრებას</i>	<i>სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას</i>
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ!] არცერთს არ ვეთანხმები		5	
<i>(არ ვიცი)</i>		-1	
<i>(უარი პასუხზე)</i>		-2	

თავი PN. პოლიტიკა და ახალი ამბები

PN1. ყველაზე მეტად რომელ სატელევიზიო არხს ენდობით პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ სანდო ინფორმაციის მისაღებად?

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ. შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი]

იმედი	1
მთავარი არხი	2
ფორმულა	3
კავკასია	4
რუსთავი 2	5
პირველი არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი)	6
მაესტრო	7
აჭარის ტელევიზია	8
მეორე არხი (საზოგადოებრივი მაუწყებელი)	9
ობიექტივი	10
პალიტრა TV	11
TV პირველი	12
აზ ტე-ვე (AzTV)	13
არმენია ტე-ვე (Armenia TV)	14
სხვა (მიუთითეთ)_____	15
<i>(არცერთს)</i>	-5
<i>ინფორმაციას არ ვიღებ ტელევიზიის მეშვეობით</i>	-4
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

PN2. ახლა მე თქვენ გადმოგცემთ პლანშეტს, რომლის მეშვეობითაც მომდევნო კითხვაზე პასუხს თავად მონიშნავთ. მას შემდეგ, რაც პასუხს მონიშნავთ, გთხოვთ, დააჭიროთ თითო ღილაკს „შემდეგი.“

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! გადადით მომდევნო გვერდზე და პლანშეტი რესპონდენტს ისე მიაწოდეთ.]

საქართველოში მრავალი პოლიტიკური პარტია არსებობს. რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?

[პროგრამირების ინსტრუქცია: პასუხის ვარიანტების როტაცია. ეკრანზე უნდა ჩანდეს მხოლოდ პარტიების ჩამონათვალი.]

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო [ზიძინა ივანიშვილი]	1
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის [დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა]	3
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი [ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი]	4
ლეიბორისტული პარტია [შალვა ნათელაშვილი]	5
დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო [ნინო ბურჯანაძე]	6
პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო [გიორგი ვაშაძე]	7
ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი [ზურაბ ჯაფარიძე]	8
თავისუფალი საქართველო [კახა კუკავა]	9
სხვა (მიუთითეთ)	10

(ასეთი პარტია არ არსებობს)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

დიდი მადლობა, გთხოვთ, დაუბრუნოთ პლანშეტი ინტერვიუერს.

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** თუკი რესპონდენტმა უარი განაცხადა პასუხზე, ან - თქვა, რომ ასეთი პარტია არ არსებობს, ან არ იცის, მონიშნეთ შესაბამისი პასუხის ვარიანტი და ჰკითხეთ D9. მომდევნო კითხვაზე პასუხი რესპონდენტმა თავად უნდა მონიშნოს პლანშეტში. ჯერ წაუკითხეთ კითხვის პირობა, შემდეგ კი გადაეცით პლანშეტი]

PN3. მიუხედავად იმისა, რომ /პასუხი წინა კითხვაზე/, სხვებთან შედარებით, რომელი პარტიის მიმართ ხართ ყველაზე მეტი სიმპათიით განწყობილი?

მე თქვენ გადმოგცემთ პლანშეტს, რომელის მეშვეობითაც მომდევნო კითხვაზე პასუხს თავად მონიშნავთ. მას შემდეგ, რაც პასუხს მონიშნავთ, გთხოვთ, დააჭიროთ თითო ლილაკს „შემდეგი.“

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო [ბიძინა ივანიშვილი]	1
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის [დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა]	3
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი [ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი]	4
ლეიბორისტული პარტია [შალვა ნათელაშვილი]	5

დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო [ნინო ბურჯანაძე]	6
პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო [გიორგი ვაშაძე]	7
ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი [ზურაბ ჯაფარიძე]	8
თავისუფალი საქართველო [კახა კუკავა]	9
სხვა (მიუთითეთ)	10
<i>(ასეთი პარტია არ არსებობს)</i>	-5
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

დიდი მადლობა, გთხოვთ, დაუბრუნოთ პლანშეტი ინტერვიუერს.

თავი SO. შეხედულებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით

SO1. ახლა ჩამოგივლით რამდენიმე მოსაზრებას, რომელსაც ზოგიერთი ადამიანი ეთანხმება, ზოგი კი - არა. გთხოვთ, მითხრათ, თუ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას. თქვენ საერთოდ არ ეთანხმებით, არ ეთანხმებით, ეთანხმებით თუ სრულად ეთანხმებით იმას, რომ...

		საერთოდ არ ეთანხმებით	არ ეთანხმებით	ეთანხმებით	სრულად ეთანხმებით	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
--	--	-----------------------	---------------	------------	-------------------	-----------	----------------

1.	პოლიტიკოსებმა ყოველთვის ყურადღებით უნდა მოუსმინონ ხალხის პრობლემებს.	1	2	3	4	-1	-2
2.	იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა კარგად შეასრულონ საკუთარი სამუშაო, მოსახლეობასთან ურთიერთობა არ არის აუცილებელი.	1	2	3	4	-1	-2
3.	ქვეყნის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპი ხალხის ნება უნდა იყოს.	1	2	3	4	-1	-2
4.	მთავრობას, ძირითადად, რამდენიმე დიდი კერძო ჯგუფი მართავს, რომელიც საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს.	1	2	3	4	-1	-2
5.	ხელისუფლების წარმომადგენლები საკუთარ ძალაუფლებას მოსახლეობის ცხოვრების გასაუმჯობესებლად იყენებენ.	1	2	3	4	-1	-2
6.	ხელისუფლების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი არაკეთილსინდისიერია.	1	2	3	4	-1	-2
7.	ადამიანის პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით შემოიღია, ვთქვა, ის კარგი ადამიანია თუ ცუდი.	1	2	3	4	-1	-2

8.	ადამიანები, რომელთა პოლიტიკურ შეხედულებებს არ ვეთანხმები, ცუდები არ არიან.	1	2	3	4	-1	-2
9.	ადამიანებს, რომელთა პოლიტიკურ მოსაზრებებს არ ვეთანხმები, პოლიტიკის შესახებ უბრალოდ მცდარი ინფორმაცია აქვთ.	1	2	3	4	-1	-2

SO2. ამა წლის 14 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა საკონსტიტუციო ცვლილებას, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა მაჟორიტარების გარეშე მხოლოდ პროპორციული სისტემით, ნულოვანი ბარიერით.

გსმენიათ თუ არა ამ მოვლენის შესახებ?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

SO3. რამდენად მისაღები ან მიუღებელია ის ფაქტი, რომ პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა ამ საკონსტიტუციო ცვლილებას? [წაუკითხეთ]

სრულიად მისაღებია	4
ნაწილობრივ მისაღებია	3
ნაწილობრივ მიუღებელია	2
საერთოდ მიუღებელია	1
(არ ვიცი)	-1

(უარი პასუხზე)	-2
----------------	----

SO4. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, საზოგადოების ნაწილმა საპროტესტო აქციების ორგანიზება დაიწყო. გსმენიათ თუ არა ამის შესახებ?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

SO5. რამდენად მისაღებია ან მიუღებელია თქვენთვის საზოგადოების ნაწილის მიერ პარლამენტის ამ გადაწყვეტილების გაპროტესტება. [წაუკითხეთ]

სრულიად მისაღებია	4
ნაწილობრივ მისაღებია	3
ნაწილობრივ მიუღებელია	2
საერთოდ მიუღებელია	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

SO6. თქვენი აზრით, როგორ უნდა ავირჩიოთ დეპუტატები საქართველოს პარლამენტში. ამომრჩევლები ხმას უნდა ვაძლევდეთ ... [წაუკითხეთ]

მხოლოდ პარტიებს	1	
მხოლოდ კანდიდატებს	2	გადასვლა SO9-ზე

თუ პარტიებსაც და კანდიდატებსაც?	3	
<i>(ჩემნაირი ადამიანისთვის მნიშვნელობა არ აქვს)</i>	-5	გადასვლა SO9
<i>(არ ვიცი)</i>	-1	
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2	

[პრემბულა მხოლოდ მათ, ვინც თქვა, რომ პარტიებსაც და კანდიდატებსაც]

თქვენ ფიქრობთ, რომ საპარლამენტო არჩევნები შერეული სიტემით უნდა ჩატარდეს, ანუ ხმა უნდა მივცეთ როგორც კანდიდატებს (მაჟორიტარებს), ასევე - პარტიებს (სიით). ჯერ შერეული სისტემის იმ ნაწილის შესახებ ვისაუბროთ, სადაც პარტიებს ვაძლევთ ხმას.

SO7. თქვენი აზრით, უნდა არსებობდეს თუ არა ეგრეთ წოდებული საარჩევნო ბარიერი, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტში მოსახვედრად უნდა გადალახოს, მაგალითად, არჩევნებში დააგროვოს ხმების საერთო რაოდენობის გარკვეულ პროცენტზე მეტი?

დიახ	1
არა	0
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

[მხოლოდ მათ, ვინც თქვა, რომ პარტიებსაც და კანდიდატებსაც]

SO8. ახლა ვისაუბროთ შერეული არჩევნების შესახებ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია პარლამენტში ადგილების განაწილების თქვენთვის ყველაზე უფრო მისაღები სცენარი: [აჩვენეთ ბარათი SO8 და წაუკითხეთ]

1. პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა დაითვლება ცალკე მაჟორიტარული და ცალკე - პროპორციული (სიითი) არჩევნების შედეგად. ამ შემთხვევაში, მანდატების რაოდენობა შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს პარტიის მიერ პროპორციულ (სიით) არჩევნებში მიღებული ხმების წილს.

2. პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა დაითვლება პროპორციული (სიითი) არჩევნების შედეგად. დეპუტატები პარლამენტში მოხვდებიან როგორც მაჟორიტარული არჩევნებით, ასევე - საარჩევნო სიის მიხედვით. ამ შემთხვევაში, მანდატების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პარტიის მიერ პროპორციულ (სიით) არჩევნებში მიღებული ხმების წილს.

პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა დაითვლება ცალკე მაჟორიტარული და ცალკე - პროპორციული (სიითი) არჩევნების შედეგად. ამ შემთხვევაში, მანდატების რაოდენობა შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს პარტიის მიერ პროპორციულ (სიით) არჩევნებში მიღებული ხმების წილს.	1
პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა დაითვლება პროპორციული (სიითი) არჩევნების შედეგად. დეპუტატები პარლამენტში მოხვდებიან როგორც მაჟორიტარული არჩევნებით, ასევე - საარჩევნო სიის მიხედვით. ამ შემთხვევაში, მანდატების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პარტიის მიერ პროპორციულ (სიით) არჩევნებში მიღებული ხმების წილს.	2
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

დიდი მადლობა. ახლა დაგისვამთ რამდენიმე კითხვას, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ. მოდი, თავდაპირველად ვისაუბროთ თქვენს შესახებ:

SO9. [აჩვენეთ ბარათი SO9] ამ ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, რამდენად შეგესაბამებათ ან არ შეგესაბამებათ თქვენ შემდეგი:

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ]

		შემესაბამება	ძირითადად შემესაბამება	ნაწილობრივ შემესაბამება, ნაწილობრივ არა	ძირითადად არ შემესაბამება	არ შემესაბამება	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)	

1.	გადამილახავს დაბრკოლებები მნიშვნელოვანი გამოწვევის დასაძლევად.	5	4	3	2	1	-1	-2
2.	ახალი იდეებისა და წამოწყების გამო ხშირად ძველებს ყურადღებას აღარ ვაქცევ.	5	4	3	2	1	-1	-2
3.	ჩემი ინტერესები წლიდან წლამდე იცვლება.	5	4	3	2	1	-1	-2
4.	წარუმატებლობა ფარ-ხმალს არ მაყრევინებს.	5	4	3	2	1	-1	-2
5.	ცყოფილვარ გატაცებული რაიმე იდეით ან წამოწყებით გარკვეული პერიოდის მანძილზე, თუმცა შემდეგ დამიკარგავს ინტერესი.	5	4	3	2	1	-1	-2
6.	შრომისმოყვარე ადამიანი ვარ.	5	4	3	2	1	-1	-2
7.	ხშირად ვისახავ მიზანს, თუმცა, შემდეგ ვარჩევ სხვა მიზნის გაყოლას.	5	4	3	2	1	-1	-2

8.	მიჭირს კონცენტრირება ისეთ საქმიანობაზე, რომელთა განხორციელებას რამდენიმე თვეზე მეტი სჭირდება.	5	4	3	2	1	-1	-2
9.	დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიმყავს.	5	4	3	2	1	-1	-2
10.	მიმიღწევია ისეთი მიზნისთვის, რომელსაც მრავალწლიანი შრომა დასჭირდა.	5	4	3	2	1	-1	-2
11.	რამდენიმე თვეში ერთხელ ახალი ინტერესები მიჩნდება.	5	4	3	2	1	-1	-2
12.	მიზანდასახული ადამიანი ვარ, არასდროს ვნებდები.	5	4	3	2	1	-1	-2

თავი CA. კლიენტალიზმი

ახლა ვისაუბროთ ერთი ჩვეულებრივი მოქალაქის [სახელი] შესახებ.

[პროგრამის დიზაინი: ოთხი ჯგუფი თანაბარი ალბათობით. რესპონდენტს სქესის, დასახლებული პუნქტის და ინტერვიუს ენის მიხედვით უნდა ამოუვიდეს ტექსტი საკუთარი სქესის, დასახლების და ენის მიხედვით შემდეგი მატრიცით:

დასახლებული პუნქტის ტიპი:

თბილისში - დედაქალაქი, ქალაქში - ერთი ქალაქი, სოფელში - ერთი სოფელი

ქართულენოვანი რესპონდენტი:

კაცის სახელი - ზაზა, ქალის სახელი - ნანა

სომხურენოვანი რესპონდენტი:

კაცის სახელი - ჰაიკ, ქალის სახელი - გაიანე

აზერბაიჯანულენოვანი რესპონდენტი:

კაცის სახელი - აჰმედი , ქალის სახელი - ფატიმა

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ ტექსტი]

C. არაფერი

T1. საკონტროლო ჯგუფი

[სახელი] თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ერთ-ერთ [ქალაქში/სოფელში]. საპარლამენტო არჩევნების წინ [სახელი] ახლობელი ესტუმრა და სთხოვა, მისი ხატრით ერთ-ერთი პარტიისთვის მიეცა ხმა.

T2. ექსპერიმენტული ჯგუფი 1

[სახელი] თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ერთ-ერთ [ქალაქში/სოფელში]. საპარლამენტო არჩევნების წინ [სახელი] ახლობელი ესტუმრა და სთხოვა, მისი ხატრით ერთ-ერთი პარტიისთვის მიეცა ხმა. სამაგიეროდ შეჰპირდა, რომ პარტია მის შვილს სამსახურის შოვნაში დაეხმარებოდა.

T3. ექსპერიმენტული ჯგუფი 3

[სახელი] თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ერთ-ერთ [ქალაქში/სოფელში]. საპარლამენტო არჩევნების წინ [სახელი] ახლობელი ესტუმრა და სთხოვა, მისი ხატრით ერთ-ერთი პარტიისთვის მიეცა ხმა. სამაგიეროდ შეჰპირდა, რომ პარტია მის უბანში გზებსა და წყალგაყვანილობას შეაკეთებდა.

[ჰკითხეთ მხოლოდ T1, T2, T3]

CT1. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ [სახელი] დათანხმდეს ამ თხოვნას? [წაუკითხეთ]

სრულიად მოსალოდნელია	4
უფრო მოსალოდნელია	3
უფრო არ არის მოსალოდნელი	2
თუ საერთოდ არ არის მოსალოდნელი?	1
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

CT2. თქვენ რომ [სახელი] ადგილზე იყოთ, რამდენად მოსალოდნელი იქნებოდა ან არ იქნებოდა მოსალოდნელი, რომ ასეთ თხოვნას დათანხმდებოდი? [წაუკითხეთ]

სრულიად მოსალოდნელია	4
უფრო მოსალოდნელია	3
უფრო არ არის მოსალოდნელი	2
თუ საერთოდ არ არის მოსალოდნელი?	1
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

თავი ES. არჩევნები

[ჰკითხეთ ყველას]

ES1. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? თქვენ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები]

საერთოდ არ მიიღებთ მონაწილეობას,	1
უფრო არ მიიღებთ მონაწილეობას,	2
უფრო მიიღებთ მონაწილეობას,	3
თუ აუცილებლად მიიღებთ მონაწილეობას არჩევნებში?	4
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

ES2. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა ვის მისცემთ ხმას? თქვენ...

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! წაუკითხეთ პასუხის ვარიანტები]

სრულიად გადაწყვეტილი გაქვთ	4
უფრო გადაწყვეტილი გაქვთ	3
უფრო არ გაქვთ გადაწყვეტილი	2
თუ საერთოდ არ გაქვთ გადაწყვეტილი, ვის მისცემთ ხმას?	1
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მომდევნო კითხვაზე პასუხი რესპონდენტმა თავად უნდა მონიშნოს პლანშეტში. ჯერ წაუკითხეთ კითხვის პირობა, შემდეგ კი გადაეცით პლანშეტი.]

ახლა მე თქვენ გადმოგცემთ პლანშეტს, რომელის მეშვეობითაც მომდევნო კითხვაზე პასუხს თავად მონიშნავთ. მას შემდეგ, რაც პასუხს მონიშნავთ, გთხოვთ, დააჭიროთ თითო ღილაკს „შემდეგი.“

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! გადადით მომდევნო ეკრანზე და მიაწოდეთ პლანშეტი რესპონდენტს.]

ES3. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას/გაერთიანებას მისცემდით ხმას?

[პროგრამის დიზაინი: პასუხის თანმიმდევრობის როტაცია]

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო [ბიძინა ივანიშვილი]	1
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2
ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის [დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა]	3
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი [ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი]	4
ლეიბორისტული პარტია [შალვა ნათელაშვილი]	5
დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო [ნინო ბურჯანაძე]	6
პოლიტიკური პლატფორმა - ახალი საქართველო [გიორგი ვაშაძე]	7

ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი [ზურაბ ჯაფარიძე]	8
თავისუფალი საქართველო [კახა კუკავა]	9
სხვა (მიუთითეთ)	10
<i>(ასეთი პარტია არ არსებობს)</i>	-5
<i>(არ ვიცი)</i>	-1
<i>(უარი პასუხზე)</i>	-2

დიდი მადლობა, გთხოვთ, დაუბრუნოთ პლანშეტი ინტერვიუერს.

ინტერვიუს დასრულების თარიღი და დრო